



# საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



---

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

---

ქ. ოზურგეთი

15 ოქტომბერი 2014 წელი

## განკარგულება N70

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 103-ე მუხლის, 106<sup>1</sup> მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

2. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

დავით დარჩია

## ცნობა

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ საკრებულოში დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დადგენილების მიღების ვადაა 2014 წლის 3 ნოემბერი. დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2014 წლის 3 ნოემბრამდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, მისამართზე: ქ. ოზურგეთი, მ. კოსტავას ქ. N1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული. (პასუხისმგებელი პირი ნანა თავდუმაძე, ტელ.: 599 98 39 00. ozurgeti.org.ge).

საკრებულოს თავმჯდომარე:

დავით დარჩია

## დადგენილება N

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №2 დადგენილებას თანდართული დებულების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს №7 დადგენილებას თანდართული დებულების მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ თანახმად დანართისა.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

დავით დარჩია

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

### თავი I. ზოგადი მოთხოვნები

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელეს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- ა) საქართველოს კონსტიტუცია;
- ბ) ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;
- გ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- დ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- ე) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (I, II, III, IV და VI თავები).

მუხლი 2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ძირითადი მოთხოვნები განსაზღვრულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად.

### თავი II. მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

მუხლი 3. აპარატის უფროსი

აპარატის უფროსს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების I თავით გათვალისწინებული ზოგადი მოთხოვნებისა, დამატებით მოეთხოვება:

- ა) უმაღლესი განათლება;
- ბ) მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 4. საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსი

საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების I თავით გათვალისწინებული ზოგადი მოთხოვნებისა, დამატებით მოეთხოვება:

- ა) უმაღლესი განათლება;
- ბ) მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;
- გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 5. საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწეს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების I თავით გათვალისწინებული ზოგადი მოთხოვნებისა, დამატებით მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 6. საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი

საკრებულოს აპარატის მთავარ სპეციალისტს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების I თავით გათვალისწინებული ზოგადი მოთხოვნებისა, დამატებით მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 6 თვის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

## თავი II. მუნიციპალიტეტის გამგეობა

მუხლი 7. გამგებლის თანაშემწე

გამგებლის თანაშემწეს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების I თავით გათვალისწინებული ზოგადი მოთხოვნებისა, დამატებით მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 8. გამგებლის წარმომადგენელი

გამგებლის წარმომადგენელს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების I თავით გათვალისწინებული ზოგადი მოთხოვნებისა, დამატებით მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 9. გამგეობის სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი

გამგეობის სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსს, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების I თავით გათვალისწინებული ზოგადი მოთხოვნებისა, დამატებით მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

მუხლი 10. გამგეობის სტრუქტურული ერთეულის მთავარი სპეციალისტი  
გამგეობის სტრუქტურული ერთეულის მთავარ სპეციალისტს, გარდა ამ  
საკვალიფიკაციო მოთხოვნების I თავით გათვალისწინებული ზოგადი მოთხოვნებისა,  
დამატებით მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 6 თვის გამოცდილება;

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel)  
და Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.